სკოლის დასახელება	ქ. თერჯოლის N 1-ლი საჯარო სკოლა
მასწავლებელი	ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორი მასწავლებელი **ასმათ ჩიტორელიძე**
ნაწყვეტი წიგნიდან	გ) **,,დეტექტივი სკალდაგერი“** - მეორე თავი, **,,ანდერძი“**: https://adobe.ly/3ugPQyu
სწავლების საფეხური/ კლასი	საბაზო საფეხური / მერვე კლასი
მისაღწევი შედეგები	ქართ. VIII. 5. მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს, გააანალიზოს და შეაფასოს ტექსტები (მხატვრული და არამხატვრული), რომლებიც შეიცავს გარკვეულ თვალსაზრისს ან მსჯელობას კონკრეტულ საკითხზე • დაასახელებს ტექსტში დასმულ პრობლემებს და გამოარკვევს მათ გამომწვევ მიზეზებს; • გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ტექსტში ასახული ზნეობრივ-ეთიკური პრობლემების მიმართ. ქართ. VIII. 10. მოსწავლეს შეუძლია წერილობით გადმოსცეს საკუთარი თვალსაზრისი, იმსჯელოს კონკრეტულ საკითხზე სათანადო არგუმენტების მოხმობით • ფაქტებზე, სტატისტიკურ მონაცემებზე, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით განსაზღვრავს პრობლემას, წერილობით ჩამოაყალიბებს მოსაზრებას, შეარჩევს ამ მოსაზრების განმამტკიცებელ არგუმენტებს.
წინასწარი ცოდნა	• **,,დეტექტივი სკალდაგერი“** - მეორე თავი, **,,ანდერძი“** (მასწავლებელი მოსწავლეებს წინასწარ წააკითხებს ტექსტს); • სქემა **,,რეიტინგი“**; • დისკუსიის წარმართვა; • არგუმენტირებული ესე.
აქტივობების თანმიმდევრობა და დრო	**(მასწავლებელი წინასწარ ავალებს მოსწავლეებს ტექსტის წაკითხვას)** ➢ ტექსტში წამოჭრილი პრობლემებით სქემა **,,მზის“** შევსება **(10 წთ);** ➢ პრობლემების რეიტინგის არგუმენტების დასახელებით განსაზღვრა (რატომ დააყენეს პირველ, მეორე, მესამე,.. ადგილზე ესა თუ ის პრობლემა?) **(15 წთ);** ➢ დისკუსია: ,,მონაკვეთში წამოჭრილი ზნეობრივ-ეთიკური პრობლემების გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა და გადაჭრის გზები“ **(35 წთ);** **დავალება:** საკუთარი მოსაზრების ესეს სახით გადმოცემა: ,,რა მითხრა ამ ნაწყვეტმა და როგორ?“

აქტივობა 1	**აქტივობის აღწერა:** სქემა **„მზის“** დახმარებით მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს უკვე წაკითხულ ტექსტში **(„დეტექტივი სკალდაგერი“** - მეორე თავი, **„ანდერძი“**) დასმული პრობლემების დასახელებასა და საკუთარი პოზიციის ტექსტური მასალით გამყარებას **(10 წთ).**	**აქტივობის მიზანი:** ✓ პრობლემების განსაზღვრა; ✓ ტექსტიდან არგუმენტების მოხმობა მასში წამოჭრილი პრობლემების ნათელსაყოფად.
აქტივობა 2	**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეები მსჯელობა-არგუმენტირებით დაალაგებენ პრობლემებს მათი აქტუალობა - მასშტაბურობისგათვალისწინებითდარეიტინგის მიხედვით (რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი, ანუ რომელს ჩათვლიან რეიტინგში პირველ პრობლემად, რომელს დააყენებენ მეორე ადგილზე, მესამეზე,..) ჩამოწერენ **(15წთ).**	აქტივობის მიზანი: ✓ პრობლემების აქტუალობა-მასშტაბურობის მიხედვით მათი რეიტინგულად დალაგება.
აქტივობა 3	**აქტივობის აღწერა:** მოსწავლეებს წინასწარ ექნებათ დარიგებული ფერადი წებოვანი ფურცლები, რომლებზეც ჩამოწერენ საკუთარ ვერსიას, თუ რა იწვევს აღნიშნულ პრობლემებს და რა გზაა საჭირო, რომ გამოკვეთილი პრობლემები დადებითად გადაიჭრას **(10 წთ).** პრეზენტაციის შემდეგ ამ ფურცლებს მიაკრავენ წინასწარ გამზადებულ დიდ ფორმატზე **(5 წთ).** მოსწავლეები დისკუსიას გამართავენ მონაკვეთში წამოჭრილი ზნეობრივ-ეთიკური პრობლემების გამომწვევ მიზეზებსა და მათი გადაჭრის გზებზე. ამით კი ჩამოიყალიბებენ მონაკვეთში წამოჭრილ პრობლემაზე საკუთარ ხედვა-დამოკიდებულებას **(20 წთ).**	აქტივობის მიზანი: ✓ მოსწავლეთა მიერ პრობლემების გამომწვევი მიზეზების დასახელება; ✓ მათ მიერ უშუალო, ცოცხალი განცდების, მოსაზრებებისა და იდეების გადმოცემა მნიშვნელოვანი, პრობლემური საკითხის დადებითად გადასაჭრელად.
	<u>დავალება:</u> საკუთარი მოსაზრების ესეს სახით გადმოცემა: „რა მითხრა ამ ნაწყვეტმა და როგორ?“	

შეფასების რუბრიკა

მთელი კლასის შეფასება -- გაკვეთილზე ჩართულობა–პრობლემების განსაზღვრა

N	1-3 ქულა	4-6 ქულა	7-8 ქულა	9-10 ქულა
ნაწარმოებებში პრობლემის გამოკვეთა	მოსწავლე არ/ ვერ გამოკვეთს მონაკვეთში წამოჭრილ პრობლემას.	მოსწავლე მეტ-ნაკლებად გამოკვეთს მონაკვეთში წამოჭრილ პრობლემას.	მსჯელობისას მოსწავლე კარგად გამოკვეთს მონაკვეთში წამოჭრილ პრობლემას, თუმცა ზოგჯერ აზრის სათანადოდ დასაბუთება უჭირს.	მსჯელობისას მოსწავლე ძალიან კარგად გამოკვეთს მონაკვეთში წამოჭრილ პრობლემას, საკუთარ აზრს ასაბუთებს შესაბამისი მაგალითებით.
პრობლემის გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა	მოსწავლე არ/ ვერ განსაზღვრავს მონაკვეთში დასმული პრობლემის გამომწვევ მიზეზებს.	მოსწავლე მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს მონაკვეთში დასმული პრობლემის გამომწვევ მიზეზებს.	მოსწავლე განსაზღვრავს მონაკვეთში დასმული პრობლემის გამომწვევ მიზეზებს და საკუთარ მოსაზრებაას არგუმენტებით ამყარებს.	მოსწავლე არგუმენტირებულად განსაზღვრავს მონაკვეთში დასმული პრობლემების გამომწვევ მიზეზებს, მისი არგუმენტები ყოველთვის მყარი და დამაჯერებელია.
დისკუსიისას აზრის დასაბუთება საჭირო არგუმენტებით	დისკუსიისას მოსწავლე თითქმის არ მონაწილეობს არანაირ მსჯელობაში. ვერ გამოაქვს სწორი დასკვნები.	დისკუსიისას მოსწავლე ნაწილობრივ მონაწილეობს მსჯელობაში. უჭირს სწორი დასკვნების გამოტანა ან დასაბუთება.	დისკუსიისას მოსწავლე საკმაოდ აქტიურად მონაწილეობს მსჯელობაში. შეუძლია არგუმენტირებულად დაასაბუთოს საკუთარი აზრი (ზოგიერთ შემთხვევაში).	დისკუსიისას მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს მსჯელობაში. არგუმენტირებულად ასაბუთებს საკუთარ აზრს. თითქმის ყოველთვის გამოაქვს სწორი დასკვნა.
გაკვეთილზე ჩართულობა	თითქმის არც ერთ აქტივობაში არ/ ვერ ერთვება.	ცდილობს ჩართვას, თუმცა ხშირად ვერ სცემს კითხვებზე შესაბამის პასუხებს ან უჭირს.	ერთვება აქტივობებში, თუმცა ხანდახან ვერ სცემს კითხვებზე შესაბამის პასუხებს ან პასუხები ზერელეა.	აქტიურადაა ჩართული საგაკვეთილო პროცესში. მისი პასუხები არის დასმული საკითხის შესაბამისი.